საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8586/01
12/08/2021

8586-01-2-202108121748

შპს ,,გლობალ კომპანის“ დირექტორს,
ბატონ ხვიჩა ჯაფარიძეს (პ/ნ 47001009518)
მის: ახალციხე, თამარაშვილის ქ. №2

ბატონო ხვიჩა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 16 ივლისის N12600 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ აგარაში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) რეკონსტრუქციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს 2000 წლიდან, ხოლო ამჟამად განხორციელდა რეკონსტრუქცია. დაზუსტებას საჭიროებს როდის განხორციელდა რეკონსტრუქცია, ამასთან დეტალურად უნდა იყოს განხილული რას მოიცავს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მათ შორის რეზერვუარების (ტიპის, მოცულობის და საწვავის სახეობის მითითებით), საწვავის გასაცემი სვეტ(ებ)ისა და ჩამოსასხმელ(ებ)ის დამატებას თუ სხვა.
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 300 მ-ით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 62.05.56.058) დაშორებულია დაახლოებით 70-80 მეტრით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებულ პუნქტამდე;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია რეზერვუარებში მიმღები და გასაცემი მილმდენების, ასევე საწვავის გასაცემი სვეტისა და ჩამოსასხმელების რაოდენობის შესახებ.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე